

აზერბაიჯანული და თურქმენული განბი

თორნიკე შარაშენიძე

გიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი

ჰიპოთეტური რაკეტის გარშემო

ახალი გამალებული შეირადება და ცივი ომი? ეს შეკითხვა სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა დიდი რვიანის მორიგი სამიტის წინ. ასეთ შეკითხვამდე მსოფლიო თანამეგობრობა ერთბაშად არ მისულა. უკვე დიდი ხანია, რაც რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა უფრო და უფრო იძაბება. განმუხტვის საფუძველი არა და არ ჩანს, მაშინ როცა შემდგომი დაპისპირების საბაბს ორივე მხარე იძლევა. აშშ-ის გადაწყვეტილებას პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების შესახებ რუსეთის მხრიდან ყველა შესაძლო სახის რეაქცია მოჰყვა: ჯერ მწვავე (პუტინი ევროპას თავისი ბირთვული რაკეტების დამიზნებით დაემუქრა), შემდეგ ირონიულ-არაადეკვატური (პუტინმა განაცხადა, რომ ერთადერთი ნამდვილი დემოკრატია და მაჰათმა განდის გარდაცვალების შემდეგ ხმის გამცემი არ ჰყავს) და ბოლოს (ეს უკვე დიდი რვიანის სამიტზე მოხდა) კარგად გააზრებული და გათვლილიც (ვაშინგტონისათვის აზერბაიჯანში განლაგებული რადარის ერთობლივი ექსპლუატაცია შესთავაზა).

ეს შეთავაზება აშშ-ის ხელმძღვანელობისათვის აშკარა მოულოდნელობად იქცა. სხვა საქმეა რამდენად მოულოდნელი იყო რუსეთისათვის ამერიკელთა ცოტა ნაგვიანევი პასუხი. ვაშინგტონი პუტინის წინადადებით დაინტერესდა და სულაც არაა წინააღმდეგი გაბალანს რადარის ერთობლივი ექსპლუატაციის (რატომაც არა), მაგრამ ამავე დროს პოლონეთსა და ჩეხეთში თავის გეგმებზე უარს ამბობს. რუსეთისათვის ეს ორ რამეს ნიშნავს: 1. ახლა ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები მათ შეიძლება ევროპის გარდა სამხრეთითაც მიიღონ. 2. ახლა მათ შეუძლიათ განაცხადონ, რომ თავად ყველანაირად შეეცადნენ თავიდან ცივი ომის აცილებას, მაგრამ აშშ თავისას მაინც არ იშლის.

რთულია ცალმხრივად შეაფასო ის რეაქცია, რომელსაც კრემლში აშშ-ის გეგმები იწვევს. ერთის მხრივ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსკოვი უბრალოდ აშშ-სგან მტრის ხატს ქმნის და მოსახლეობას რაზმავს. მეორეს მხრივ შეიძლება, მოსკოვს მართლაც მიაჩნია, რომ პოლონეთსა და ჩეხეთში მდებარე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები მიზნად სწორედ რუსეთის ბირთვული პოტენციალის ნეიტრალიზაციას ისახავს (თუკი მართლაც ასე მოხდა, რუსეთს გაზისა და გაზსადენის ონკანის გარდა აღარანაირი არგუმენტი დარჩება). წესით და რიგით ამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს არ უნდა შესწევდეთ იმის ძალა, რომ რუსული ბირთვული არსენალი შეაკავონ – ეს უკანასკნელი საამისოდ მეტისმეტად ძლიერია. მაგრამ ჩანს კრემლში ფიქრობენ, რომ ახლა აშშ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები შეიძლება ისე დაიხვეწონ, რომ ოდესღაც მართლაც გაანეიტრალონ რუსული ბირთვული არსენალი.

ასეა თუ არა, არავინ იცის. მაგრამ მთავარი ისაა, რომ კრემლში ალბათ სწორედ ასე მიიჩნევენ. რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების საპასუხოდ რუსეთი ეცდება ახალი იარაღი შექმნას (უკვე აცხადებს კიდევ, რომ ამას

აკეთებს). მოკლედ, იგი ისევ გამაღებულ შეიარაღებაში უნდა ჩაერთოს, მისი ეკონომიკა კი ამისათვის მზად აღბათ არ არის. ახლა აშშ-ის ეკონომიკა რუსეთისას გაცილებით უფრო უსწრებს, ვიდრე უსწრებდა 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის ეკონომიკას. 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირმა ნგრევა იწყო. მისი ეკონომიკა, დღევანდელი რუსეთის არ იყოს, მეტისმეტად იყო დამოკიდებული ნავთობის ფასებზე. ამ ფასების დავარდნამ ქვეყნის ეკონომიკაც დაანგრია, რომელსაც გამაღებული შეიარაღება მძიმე ტვირთად აწვა.

დღევანდელი რუსეთი გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ის 90-იან წლებში იყო. ნავთობზე მაღალი ფასებისა და რუსულ გაზზე ევროპის მზარდი დამოკიდებულების გამოისობით დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება გაცილებით უფრო ხმამაღალი ტონით საუბრობს ვიდრე საუბრობდა 90-იანი წლების ხელისუფლება. მაგრამ ეს სიმდიდრე და ტონი მანამდე იქნება “ვალიდური“ სანამ რუსეთი მშვიდად და დაცულად იგრძნობს თავს. დაცულად იგი მანამდე გრძნობს თავს, სანამ მიაჩნია რომ კვლავაც ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელსაც ამერიკის განადგურება შეუძლია. ახლა კრემლში ფიქრობენ, რომ ეს პრივილეგია ხელიდან ეცლება და მისი შენარჩუნებისათვის დიდძალი რესურსების დახარჯვა მოუხდეთ, რამაც ქვეყანა შეიძლება კიდევ ერთხელ გააკოტროს.

გაბაღას სადგურის შეთავაზების მიღმა შესაძლოა კიდევ ერთი გათვლა იმალებოდეს. სულ ახლახან ბოლო 27 წლის განმავლობაში პირველად მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას ამერიკელი და ირანელი დიპლომატები. აზერბაიჯანში მდებარე რადართან ამერიკელთა გამოჩენამ ირანელები შესაძლოა სერიოზულად გააღიზიანოს და ვაშინგტონ-თეირანის შესაძლო დაახლოება (რაც რუსეთს ხელს არ აძლევს) ჩაშალოს. მოსკოვის შეთავაზების მიხედვით გაბაღას რადარის პარალელურად აშშ-მა გზაგადამჭრელი სისტემები თურქეთსა და ერაყში უნდა განალაგოს (აშშ თავისი გეგმების მიხედვით პოლონეთში გზაგადამჭრელი სისტემების, ხოლო ჩეხეთში რადარის განლაგებას გეგმავს). ეს გეგმა მართლაც რომ ირანის სრულ ალყაში მოქცევას გულისხმობს. რუსეთს მხარს უმაგრებს ის მომენტი, რომ აშშ-ის განცხადებით პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები ირანის შესაკავებლად სჭირდება.

მაგრამ თავის მხრივ აშშ აცხადებს, რომ აზერბაიჯანი ირანთან მეტისმეტად ახლოა და ირანიდან რაკეტის აფრენის შემთხვევაში გაბაღას თვალთახედვიდან იგი სწრაფად გავა, ჩეხეთში განლაგებული რადარი კი (რომელიც “გაბაღისსკიზე“ უფრო მოდერნიზებული და ეფექტური იქნება) უფრო დიდი ხნის განმავლობაში დააკვირდება ირანულ რაკეტას (თუკი იგი ოდესმე აფრინდება). ასე რომ გაბაღა კარგია, მაგრამ ჩეხეთი და პოლონეთი კიდევ უკეთესი. ორივე ერთად აღბათ საუკეთესო ვარიანტია.

აშხაბადის საიდუმლოებანი

დიდი რვიანის სამიტამდე აზერბაიჯანს მეტიუ ბრაიზა (აშშ-ის საგარეო მინისტრის თანაშემწის მოადგილე კავკასიის საკითხებში) ესტუმრა. მის პარალელურად ყაზახეთში ჩავიდა აშშ-ის საგარეო მინისტრის თანაშემწე კავკასიისა და შუა აზიის საკითხებში რიჩარდ ბაუჩერი, ხოლო თურქმენეთს აშშ-ის საგარეო მინისტრის პირველი თანაშემწე (ადრე კი აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი კასპიის ენეროსაკითხებში) სტივენ მანი ეწვია. სტუმრებმა მოიცვეს

სამი კასპიური სახელმწიფო (დანარჩენ ორ კასპიურ სახელმწიფოს რუსეთი და ირანი წარმოადგენენ) და გასაგებია, რომ საუბარი ისევ და ისევ რუსეთის გვერდის ავლით გაზსადენის მშენებლობას შეეხოს.

მას შემდეგ, რაც პუტინმა, ნახარბაევმა და ბერდიმუჰამედოვმა ახალი თურქმენულ-ყაზახურ-რუსული მილსადენის პროექტს მოაწერეს ხელი, ტრანსკასპიურ-შაჰდენიზ-ნაბუკოს მომავალი სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა. ბერდიმუჰამედოვმა პროექტზე ხელმოწერის დღესვე განაცხადა, რომ იგი კვლავაც ღია იყო ტრანსკასპიური მილსადენისათვის, მაგრამ ახლახან მან საზეიმო ვითარებაში გახსნა თურქმენულ-ყაზახურ-რუსული მილსადენის ტერმინალის დაწყებითი სამუშაოები და აშკარა გახდა, რომ პროექტი სისრულეში მოდის. მიჩნეულია, რომ ბერდიმუჰამედოვი ზემოთ მოხსენიებულ ტრიოში ყველაზე მეტადატა კეთილგანწყობილი დასავლეთის მიერ, მაგრამ ამის მიუხედავად იგი აქტიურადაა ჩართული პრორუსულ პროექტში. ამერიკელ დიპლომატთა ტრიოს ვიზიტი ვაშინგტონის მხრიდან ახალ პრორუსულ პროექტზე პირველ საპასუხო ნაბიჯად იქცა.

რა შინაარსის იყო ეს ნაბიჯი, ამაზე ბრაიზას განცხადებიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ. მან თქვა, რომ თურქმენულ-ყაზახურ-რუსულ მილსადენში გაზი იმ საბადოებიდან წავა, “რომლებიც არსებული კონტრაქტის მიხედვით რუსეთისათვის იყო განკუთვნილი.“ ტრანსკასპიურ მილსადენში კი გაზი სხვა საბადოებიდან უნდა წავიდეს.

ეს განცხადებებიც ალბათ იმას ნიშნავს, რომ თურქმენულ-ყაზახურ-რუსული პროექტი უკვე რეალობას ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ვაშინგტონი ასე აფიქსირებს. ახლა საქმე ისევ და ისევ იქამდე მიდის თუ რა ოდენობის გაზის რეზერვები გააჩნია თურქმენეთს. ამის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია დღემდე არ არსებობს და სავარაუდოდ ეს ინფორმაცია აშხაბადის მმართველი წრეების გარდა ცოტა ვინმეს თუ გააჩნია. მიჩნეულია, რომ თურქმენეთი გაზის მარაგით ათეულში ნამდვილად შედის, მაგრამ რა მარაგს ფლობს, ამას ვერავინ ვერავინ იტყვის. მიხვედრებზე დაფუძნებული მიახლოებითი გათვლებით თურქმენული გაზი ტრანსკასპიურ მილსადენსაც უნდა ეყოს. მაგრამ რამდენად მოხდება თურქმენული თამაშიდან რეგიონის (და არა მხოლოდ რეგიონის) ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშის, ჩინეთის გამორიცხვა, რომელსაც ენერგორესურსები ჰაერივით ესაჭიროება? ეს საქმეს კიდევ უფრო ართულებს. გაბაღაზე დაშვება და ტრანსკასპიური მილსადენის აგება აშშ-სათვის ძალიან კარგი ვარიანტია. მოსკოვისათვის თურქმენულ-ყაზახურ-რუსული მილსადენის ბოლომდე მოყვანა ძალიან კარგი ვარიანტია, მაგრამ ჩინეთისათვის კარგი ვარიანტი არ ჩანს. კარგი ვარიანტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება თუკი თურქმენეთს ჩინეთისათვის სამყოფი გაზი აქვს... ეს კი უკვე აშხაბადს გარეთ ძნელად თუ იცის ვინმემ. თუკი ჩინეთის სამყოფი გაზი აღარ არსებობს, მაშინ პეკინს ვიდაცამ რაღაც უნდა დაუთმოს. ამ ვიდაცის როლს რუსეთი უფრო უხდება, რომელიც ჩინეთთან ახლოსაა, რომლის მოსახლეობაც წელიწადში ნახევარი მილიონით მცირდება, რომლის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ჩინელი მიგრანტების ექსპანსიისგან დაუცველია და რომელიც ყოველივე ამის პარალელურად ფიქრობს, რომ აშშ მისი ბირთვული პოტენციალის განეიტრალებას აპირებს.

პარალელურად კი ყველა უნდა ეცადოს გაიგოს თუ რას ნიშნავს ბერდიმუჰამედოვის სიტყვები, რომლებიც მან თურქმენულ-ყაზახურ-რუსული მილსადენის პროექტზე ხელმოწერის დღეს წარმოთქვა: “ჩვენი გაზი ყველას

ყვოფა.“ შედის ამ ყველაში ჩინეთი? საკითხავი აი ეს არის. თუ ყველაში უბრალოდ ისინი იგულისხმებიან, ვინც ყველაზე ძლიერნი არიან.

ისევ ინფლაციის წინააღმდეგ

ბოლო 18 თვის განმავლობაში ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი უკვე გააორმაგა. გასულ კვირას განაკვეთი 0,25%-ით გაიზარდა და 4%-ს მიაღწია. ვინც არ უნდა მოვიდეს ევრობანკის ხელმძღვანელად პოლიტიკა ძირითადად უცვლელი რჩება – ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი უკვე არაერთი განცხადებით გამოვიდა ევრობანკის პოლიტიკის თაობაზე. მისი აზრით, ინფლაციასთან ბრძოლის დროშით განაკვეთების ზრდა ევროპულ ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს. სარკოზის მიაჩნია, რომ მაშინ როცა მისი ქვეყანა ეკონომიკურ სტაგნაციას განიცდის, ევრობანკმა სხვა ზომები უნდა მიიღოს. მაგრამ გასული კვირის მოვლენები მოწმობს, რომ ევრობანკი სარკოზის შეხედულებას ნაკლებად ითვალისწინებს. შესაძლოა, საფრანგეთის ეკონომიკას სტიმულირება სჭირდება და მისთვის დაბალი საპროცენტო განაკვეთი მისწრება იქნება. მაგრამ მაღალი განაკვეთი არანაირად არ უშლის ხელს განვითარებასი ევროპის სხვა ქვეყნებს (მაგალითად, იგივე გერმანიას). ასე რომ, ყველამ თავად უნდა მოუაროს საკუთარ პრობლემას (როგორც მოუარეს გერმანელებმა, რომელთაც სულ რაღაც ორი წლის წინ ასევე ეკონომიკური სტაგნაცია ჰქონდათ).

ევრობანკის ფრანგი თავკაცის, ჟან-კლოდ ტრიშეს მიერ გაკეთებული კომენტარებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განაკვეთების ზრდა კვლავაც გაგრძელდება. ევრობანკი მიიჩნევს, რომ ძველი კონტინენტის ეკონომიკა მთლიანობაში კარგად გამოიყურება (წელს 2,3-2,8%-იან ზრდას ელიან) და მას დამატებითი სტიმულირება არ ესაჭიროება – პირიქით, სწრაფ განვითარებას შეიძლება ინფლაცია მოჰყვეს და მასთან ბრძოლა საჭირო. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ევროს კურსი კვლავ მყარი იქნება. კერძოდ, მყარი იქნება იგივე დოლართან მიმართებაში. ეს აშშ-ის ინტერესებშიც შედის, რომელიც ცდილობს თავისი უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი სუსტი დოლარის მეშვეობით შეამციროს.

საფრანგეთს კი თავისი ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის სერიოზული რეფორმების გატარება მოუხდება, ევრობანკის იმედზე ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა ვერ იქნება. სარკოზი აპირებს გადახედოს საგარეო პოლიტიკის კურსს, რომელსაც წინა ხელისუფლება ატარებდა. ეს არც ისე რთულია. გაცილებით უფრო რთული იქნება იმის გაკეთება, რაც წინა ხელისუფლებამ სცადა და ვერ გამოუვიდა – სახელმწიფოს ნაწილობრივ გათავისუფლება მაინც უდიდესი ტვირთისგან (სოციალური პროგრამებისგან, რომელზეც ბიუჯეტის უზარმაზარი ნაწილი მოდის), გადასახადების შემცირება, სამეწარმეო აქტივობის სტიმულირება... ცხადია, ამაზე გაცილებით უფრო იოლია აშშ-სთან დაახლოება და რუსეთის გაკიცხვა ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო.